





პაატა ბერიკაშვილი

ყვითელი ცდომილის მსახური

პაატა ბერიკაშვილი  
ყვითელი ცდომილის მსახური



ნიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტის  
და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-707-7

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ბროლის უზარმაზარ ქალზე მზის ათინათები დახტოდნენ... სხივის ოქროსფერი ჭავლი ძლივსგახელილ თვალზე გამიჩერდა, გაიბლანდა წამწამებში და ნელა-ნელა გულსამრევი მომწვანო-რუხი ფერი მიიღო... ათინათს ხიზილალის თუ შამპანურის ცუდად მონელებული, საზიზლარი ოხშივარი ასდიოდა. კენესით ვიცვალე გვერდი და მაშინვე თვალი გავაჭყიტე – ბალიშზე იისფერი პომადა გათხუპნულიყო...

მძიმედ ამოტივტივდა გუშინდელი ღამე. ყურში გაბმული აურზაური ჩადგა. ნაღრძობი ფეხი... ბოლოკი თუ რაღაც წითელი... მოცეკვავე ქალის ხიზილალიანი ტუჩები... ის ხიზილალა ლიფზეც ეცხო... რაღაც კისკისიც ჩამესმა და, როგორც იქნა, სანოლზე წამოვჯექი. სარკიდან დასივებულთვალეებიანი, პომადიანი და ჰალსტუხიანი საკუთარი ორეული მომჩერებოდა. ფარდა შეირხა, გაიბერა, ოთახში აფარფატდა. მერე იატაკზე მწვანე ფერის ხალისიანმა მაჯლაჯუნებმა გაირბინეს, ხორხოცით მიაშურეს სარკესთან აყუდებულ ლუდის ბოთლებს. ბოთლი გავხსენი, მოვიყუდე. ვიგრძენი, როგორ ჩამომეღვარა მომწარო-მოტკბო ქაფი ნიკაპზე. თან კედელზე ოქროსვარაყიან პორტრეტს მივჩერებოდი. მეორე ბოთლი რომ მოვიყუდე, მაჯლაჯუნები გაქრნენ და პორტრეტიც უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა – „გაღიმებული ვენეციელი გოგონა. უცნობი ავტორი“ – სწორედ ასე ეწერა ნასყიდობის საკომისიო ქვითარში. იდიოტობაა! – ჭკვიანურად გავიფიქრე, – თითქოს ვენეციელი გოგონები სხვანაირად იცინოდნენ. ამ დროს პომადიანი ბალიში მომხვდა თვალში. ძალიან გავბრაზდი, – ითხუპნებიან აქ! თან ეს ხიზილალაც. შარვლის ჯიბეში რაღაც ხურდები ეყარა, ფული აღარც პიჯაკშია. ეს რაღა? პოლიციელის სასტვენნი?! რა სასტვენნი... პირში ჩავიდე და დავუსტვინე. გამაყრუებელი ხმაური ყინულის ნემსივით შემისრიალდა ყურში. მაშასადამე, სასტვენნი აღარ მახსოვს... ქალი მახსოვს. არ იყო, მგონი, კარგი ქალი. კარგი რომელიც იყო, ალფონსს შეხვდა, ოხერს. თუმცა ქალებიც ალფონსმა მოიყვანა. ათი ულუფა ხიზილალა, გრეიფრუტი და შამპანური.

საბოლოოდ დავადექი გამოფხიზლების გზას და შემეშინდა – მამაჩემი მომკლავს! ეზოდან მანქანის ხმა მომესმა. ნაირ-ნაირი მომწვანო-რუხი ეშმაკუნებით დახუნძლული ფარდა გავწიე. ოთახში მზის შუქი სხვადასხვა ფერებთან ერთად შემოიჭრა. თავბრუ დამეხვა. ეზოში მამაჩემის მძლოლი იდგა – ბრინჯაოსფერი, ყვითელთვალეებიანი ახმასი, ომარ შარიფის უღვაშები ზემო ტუჩის კიდეს მიუყვებოდა, ცხვირთან, ზედ ნესტოებშუა ჩამოეპარსა და სწორედ იქ უელავდა შავი, ბანჯგვლიანი ხალი. იფიქრებდი – ხალის გამოსაჩენად ამოუპუტავს უღვაშებიო. მძლოლი ხალიან-ულვაშიანად რაღაცით

მექსიკელ სომეხს ჰგავდა და კორნელი ერქვა. კორნელი სამხრეთამერიკულ ვესტერნებზე გიჟდებოდა, აბოდებდა ცისკო კიდზე, თან კინოებიდან დიალოგებს, სახელებს იმახსოვრებდა და ამით ცხოვრებას იხალისებდა.

– სალუტ, ნიკუშიტო! – შემამჩნია. – გალსტუკი რად გინდა? დღეს კვირაა...

აჰ, დღეს კვირაა! მამ, ამას აქ რა უნდა... შემემინდა – ნუთუ ჩემები ჩამოვიდნენ?! ჩამოვიდნენ და ის... პომადიანი... ლუიზა თუ რა ერქვა... ათი ულუფა ხიზილალა...

ეზოში შავ კოსტიუმში ჩაჭედული მამა გამოჩნდა. თითქოს თვალეში დამიბნელდა, ისე გაბაცდა ყველაფერი. ამ დროს დედაჩემიც დავინახე აივანზე.

ნუხელ ჩამოსულან!

– რა გაღრიალებს?! – ცივი, ჩახლეჩილი ხმით დატუქსა მამაჩემმა კორნელი. გაფთვრებულიყო მექსიკელი ვიგინდარა, შავი ხალი მკაფიოდ რომ აჩნდა. – დაქოქე!

– ნიკუშას მივესალმე, პატივცემულო. ზეთი გამოვცვალე და ეე... დაქოქილია უკვე.

– აი, ეგ, – თითი ჩემს ფანჯარას მოაშვირა მამის აჩრდილმა (დიახ, მას მუდამ განყენებულ, ზემოდან მაცქერალ გარდაუვალ და ძალმომრე... რა ჰქვია... სუბსტანციად აღვიკვამდი, რომელთანაც მაშინვე ვკარგავდი ნებელობას), თავი დედაჩემის აივნისკენ ჰქონდა მიქცეული, – აჯობებს, რომ შინ არ დამხვდეს. უკეთესი იქნება მისთვის.

აღლევებისგან გაჯგომულმა მძლოლმა ძლივს დაძრა გრძელი, შავი ლიმუზინი.

– ნუ გეშინია, კორნელი! – გადასძახა დედამ. – ფრთხილად იარე.

კორნელიმ მადლიერი თვალეებით ამოხედა და გამშრალი ენით მოილოკა ხალი.

პომადა, ხიზილალა... კიდეც კარგი, ის ლიფი... გადავავადე თითქოს. დღეს აუცილებლად მომხვდება. არა, ეს ალფონსი მე ბოლოს მომიღებს. ოცდაათს გადაცილებულ კაცს მამა პატარა ბიჭვით ეჩხუბებოდე, სცემდეს და უფლებებს ულახავდეს, არ გამიგია.

ალფონსი, რა თქმა უნდა, მეტსახელია – ჩემი ბავშვობის მეგობარი მატრაბაზი. სულ ორი ბავშვობის მეგობარი მყავს – ალფონსად შერაცხული უბედურება და ბენო, რომელსაც პასპორტში (კაცმა არ იცის, რატომ) ბენიამინი უწერია. არადა, სულაც არ არის ებრაელი. ჩვენს ეზოში ორი უზარმაზარი სახლი დგას. ერთი მთლიანად ჩვენია, მეორე კი ერთ დროს ალფონსის ოჯახს ეკუთვნოდა. შემდეგ, რეპრესიების ილუზორულ ხანაში, ბაბუა დაუხვრიტეს, ბებია კი გადაუსახლეს სადღაც. ალფონსი რომ დაიბადა, სულ მალე მამამისიც ჩემოდნებიანად წაიყვანეს. გადაიკარგა ისიც. ალფონსის დედა კი დიდხანს ავადმყოფობდა. სკოლაში რომ ვსწავლობდით, ისიც გარდაიცვალა. ალფონსს დედამისის მამიდა, ქალბატონი ბაბუცა ზრდიდა. მის სახლს თანდათან ემატებოდნენ უცხო ადამიანები. მალე ათიოდე ოჯახი განთავსდა ერთ დროს ლამაზ და მდიდრულ შენობაში. ბოშების ბანაკს დაემსგავსა იქაურობა. ქალბატონ ბაბუცას სიკვდილის შემდეგ ალფონსს პაპამისის სახლიდან ოროთახიანი ნახევარსარდაფი, უზარმაზარი ბიბლიოთეკა, გაყვითლებული ფოტოები და ბაბუცას სამზითვოდ შენახული ერთოთახიანი ბინა დარჩა სოლოლაკში. სოლოლაკის ბინა ალფონსის სტუდენტობასა და რესტორნებს შეენირა, ლათინურ-ბერძნულ და კიდეც უამრავ ენაზე შედგენილი, მოოქროვილ ფოლიანტებში ჩაჯავშნული უნიკალური ბიბლიოთეკა კი (რა თქმა უნდა, წაკითხვის შემდეგო, ამტკიცებს ალფონსი) ალფონსის სხვადასხვა ადგილებში მოგ-

ზაურობას, ნაირ-ნაირ ქალებსა და ყოვლად უგვანო თავშექცევებს მოხმარდა. ერთ ნახვად ღირდა ალფონსის ეზოში გამოცხადება. ნახევარსარდაფის რკინის კარი ჭრიალით იღებოდა და ბაბუამისის ფრაკში გამოწყობილი, მაზალოდ გადაპრანჭული ალფონსი სარდაფის სიბნელიდან ამოტივტივდებოდა ხოლმე.

– ნამდვილი დენდი ხარ! – სიცილით უთხრა ერთხელ დედამ.

– გგონიათ, მასია მოვნეთ? – მაღალი და სიმპათიური ალფონსი მატრახაზულად იხრებოდა წელში, აპლომბს რომელიღაც ფილმიდან იღებდა და დედას ნაზად ჰკოცნიდა ხელზე. – დენდი ფრანგულად სულელს ნიშნავს, მაძამ! საქართველოში პატივის არ სცემენ სულელებს. აქ თავზეხელაღებული ავანტიურისტი უნდა იყო ლირიკული გადახრებით. ნუ გეშინიათ, თქვენს შვილს არ ვუბიძგებ ამ მიმართულებით, ვინაიდან განონასწორებული, დონდლო კარიერისტი და სახელმწიფო მოხელეა, რომელიც ძალიან მიყვარს, თანაც ფულს მასესხებს ხოლმე. ასე არ არის, ნიკუშ?

მე ამ დროს ვდუმდი ხოლმე, რადგან გადმოცემით ვიცოდი, ავანტიურისტობა, კარიერისტობის არ იყოს, არ იყო მაინცდამაინც კარგი. ეზოში ცოტა ხნით ყოველთვის დაყოვნდებოდა, თუ მამაჩემი სახლში არ ეგულებოდა – ვერ იტანდა. ან საერთოდ არ მიესალმებოდა, ანდა მთვრალი ისეთ რამეს ეტყოდა, მამაჩემი მაშინვე ქალაქის პროკურორის ნომერს დაუწყებდა ძებნას. ალფონსს კი ფეხზე ეკიდა ქალაქის კი არა, მთელი ქვეყნის პროკურორები. ერთხელ გამომთვრალმა ვიღაც გოგო მოიყვანა. გოგო ძლივს იდგა ფეხზე, შამპანურის ბოთლს მოაპროწიალებდა, თან ალფონსს ეტანებოდა საკოცნელად. ქვეყნის მთავარი პროკურორის ქალიშვილიაო, მამაჩემის გასაგონად, ძალიან ხმამაღლა გამაცნო ალფონსმა. რა დროს მამაჩემიაო, გადაფიჩინდა გოგო, ახლა ცეკვა მინდაო. მერე მამაჩემს მიაშტერდა და რა ყყეყური გამომეტყველება აქვს (მამამ შეყივლებით დაასლოკინა), ცეკვის ალბათ არაფერი გაეგებაო. ამის მამააო, აუხსნა ალფონსმა. ნუ ინერვიულებ, ნალვლიანად მომეფერა გოგო, ხელი აიქნია, მამაჩემი უარესიაო. შემდეგ მაგნიტოფონი გამოათრიეს და დიდხანს ცეკვავენენ, მამაჩემს კი პროკურორთან დარეკვა ვერ გაებდა. ალფონსის მაგივრად მე მომხვდა. დილით, ვიდრე სამსახურში წავიდოდი, გაცეცხლებული მივადექი ალფონსის სარდაფს.

– როდის დაანებებ მამაჩემს თავს?! – ვულრიალე, – ავანტიურისტი ხარ, დენდი ხარ თუ რა ოხრობა ხარ!

– დენდი ჯორჯ ბო ბრამელი იყო, შე ყყეყრო, – ნალვლიანად მითხრა ნაბახუსევმა და განათლებულმა ალფონსმა, თან წუხანდელ შამპანურს ინურავდა ჭიქაში, – კიდევ გრაფი დ'ორსე, ბენჯამენ დიზრაილი და უინძორის ჰერცოგი. გასუქებამდე ჭრელი, კუბებიანი ჯემპრები უყვარდა ცხონებულს. მე რა შუაში ვარ? ანდა ავანტიურისტი რომ ვიყო, ასეთ სახლში ვიცხოვრებდი? შეხედე, რას ჰგავს აქაურობა! მე პოეტი ვარ, ძმაო.

– ისემც...

აქ ალფონსი წამოდგა, მაგიდაზე მიყრილი რალაც ქალაღდები გადააქოთა, ფურცელი აიღო და ისეთი კარგი რამე წამიკითხა, რომ ვერაფერი გავიგე, მაგრამ ძალიან მომეწონა. ნალვლიანი ფიქრები ამეშალა და დავდუმდი. მახსოვს, მეტირებოდა კიდეც. ალფონსმა ფული გამომართვა, სადღაც წავიდა და მალე ბოთლებიანად დაბრუნდა. სამსახურში იმ დღეს ველარ წავედი. წავედით რესტორანში ვიღაც ქალებთან ერთად,

რომლებიც ალფონსის ლექსებს კითხულობდნენ. ბოლოს ხან ალფონსს ჰკოცნიდნენ და ერთი-ორჯერ მეც მაკოცეს მისი ხათრით.

სახლში გაავებული მამაჩემი დამხვდა. უამრავი რალაც საბუთი დამრჩენია ხელმო-სანერი. ქალაქის სასაკლაოების ვეტერინარული სამსახურის უფროსი ვარ. გადარჩნენ იმ დღეს ძროხები დაკვლას. ამ ამბავმა ალფონსი ძალიან გაამხიარულა. ძროხების ღმერთი ხარო, მითხრა. ბოლოს წყვილჩლიქოსანთა რაინდად მომნათლა და დონ კი-ხოტის პატარა ქანდაკება მაჩუქა (მთელი სახლიდან ესლა დარჩა – გქონდეს, თორემ შემომეყიდებო, მთხოვა). დონ კიხოტი სარკესთან, გაღიმებული ვენეციელი გოგონას პირდაპირ დავდგი. ამას ვინ იყიდის-მეთქი, ვფიქრობდი. მალე ალფონსის პოეტობის ამბავი მთელ ეზოს მოედო. ბენიამინი გადაირია. მეც ვწერ ლექსებსო, გამომიტყდა. ალფონსმა არ დაიჯერა. ეგ სელექციონერია მამამისივით, რამ გააპოეტა, სისულელეაო. ალფონსის ლექსები რომელიღაც გაზეთმა დაბეჭდა, მერე – ჟურნალმა. ბენო-მაც გააქანა იმ ჟურნალში თავისი ლექსები. არ დაუბეჭდეს.

– სხვა რა გზა გაქვს, – გამოუცხადა ალფონსმა, – წერა მეტ-ნაკლებად რაკი შეგ-ძლებია, ჩემი ბიოგრაფია უნდა დანერო. სახელს გაითქვამ.

ბიოგრაფია ამას დაანერინეო, ჩემზე უთხრა გაავებულმა ბენომ, კარი გაიჯახუნა და არყის მოსატანად წავიდა.

– შენ ვერ დანერ, – მოიწყინა ალფონსმა, – ჯერ ეს ერთი, წერა არ იცი; მეორეც, ცუდი სიმთვრალე გაქვს. რატომ ავინებდი იმ დღეს ქალებს, მშვენიერი გოგოები იყ-ვნენ.

თავი ჩავეცინდრე. რაც მართალია, მართალია – ქალებთან თუ ერთი დავიბენი, მორ-ჩა, მაშინვე ალიაქოთს ვტეხ.

– სასაკლაოების ბრალია, – ალფონსს თანაგრძნობა გაუკრთა ხმაში, – გადაგიყო-ლებს ეგ სასაკლაო.

მერე ძველი, საოჯახო ალბომი დამიდო წინ. – ცოტა ხანს გაერთე, მე კი ღვინოს მოვიტან, ბენოს გამონხდელი არაყი საზიზღრობაა.

გავციტლებულ სურათებს ვათვალიერებდი. ერთმანეთს მიუყვებოდნენ ძველებურ კოსტიუმებში, ჩოხებში გამონყობილი ალფონსის წინაპრები, გრძელი, ჭალარა და შავი ულვაშები გადაეგრისათ. მერე ძველი ოფიცრების პორტრეტები შემხვდა. საკვირვე-ლია, როგორ არ ჩამოართვეს მაშინ. გავიფიქრე, ალბათ გადამალეს-მეთქი. ერთ სუ-რათზე თითქოს ვიღაც მეცნო. ვინ უნდა იყოს? – ვფიქრობდი და მივხვდი – სურათზე გამოსახული, ხმაზე ხელუბდაყრდნობილი ოფიცერი, არც მეტი, არც ნაკლები, მე მგავდა და ვაჰ-მეთქი, გულში შევძახე. სურათების თვალიერებაში გართულს ვიღაც ლამაზი ქალი წამომადგა თავზე.

– ალფონსი ახლავე მოვა, – წამოვდექი.

– არა უშავს, – ხელი გააქნია ქალმა, – ეს მას გადაეცით! – ქალმა მაგიდაზე ქა-ლალღში გახვეული რალაც ბრტყელი შეკვრა დადო. მერე ფურცლების თვალიერებას მოჰყვა. – ახალი ხომ არაფერი დაუნერია? მხრები ავიჩჩე. ამ დროს ქალს იმ ოფიცრის ფოტო მოხვდა თვალში, ჩემს თავს რომ მივამსგავსე. მაშინვე გაფაცვიცვით მკითხა:

– მამათქვენი ალფონსის მამასთან მეგობრობდა?



გამეცინა და მამაჩემის წარსულ-ხასიათიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია-მეთქი, ვუპასუხე.

– რატომ არის წარმოუდგენელი? – ეს სიტყვები ჩურჩულით თქვა ქალმა, თან რატომღაც ძალზე უცნაურად მაკვირდებოდა, მერე ჩემი ახსნა-განმარტებისთვის აღარ მოუცდია, ხელი ხელს შემოჰკრა და შესძახა, – აჰ, თქვენც შეწირული ხართ! მაგრამ ამგვარი თვალეზზე ჯერ არაფერი გეტყობათ. თუმცა ამას მე არავინ მკითხავს.

არ გკითხავთ და ძალიანაც კარგი, გავიფიქრე, შეწირულის მაგივრად კი ალბათ განწირული უნდოდა ეთქვა. განწირული კი, ალფონსის გადამკიდე, თუ გონს არ მოვეგებოდი, ლოთობისთვის გახლდით. და შევწუხდი – ნუთუ თვალეზზე ასე მეტყობა?!

ქალს ვილაც ორი მუშა შემოჰყვა. ხვნეშით ძლივს შემოეტივნენ კარში და ძველზე ძველი, მოზრდილი და უცნაური ფორმის სავარძელი შემოიტანეს. ქალი ძალზე ალერსიანად დამემშვიდობა (ნუთუ ასე შევეცოდე?), მერე სავარძელზე ღიმილით მიმიითა – ალფონსს ძალიან გაუხარდებო და წავიდა. მაგიდასთან ჩუმიად მივედი, ქალაღღმი გახვეული ნივთი გავხსენი. რალაც ნიგნი იყო, ნიგნში კი – ფული. აი, ამიტომაც ეძახიან ალფონსს! ეს ქალი პირველი კი არ იყო, ვინც ფული მოიტანა... თუმცა ავეჯით ჯერ არც ერთი ქალი არ გამოცხადებულა. სავარძელმა ალფონსზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ღვინის ბოთლები მაგიდაზე მიყარა, მაშინვე სავარძელს ეცა, მერე ნიგნი აიღო და ფურცვლას მოჰყვა. ფულზე, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს. ჩემს შეკითხვაზე – ის ქალი ვინ იყო-მეთქი, ალფონსი აღშფოთდა:

– რა შენი საქმეა?! – შესძახა, – ვინ იყო და გრაფინია ზინგერ დავიდოვა გრამონი! გასაგებია?

ბენო რომ მოვიდა, ალფონსმა იმ ბოთლებიანად უბოდიშოდ დაგვითხოვა სახლიდან. ვინ ქალზე გეჩხუბებოდაო, მკითხა ბენომ. და მეც მივუგე, ერთი გრაფინია იყო, ვინმე ზინგერი დავიდოვა და კიდევ რალაც გვარი-მეთქი.

– სამნი იყვნენ? – შესძახა ბენომ. ავდექი და ნიგნში ჩადებული ფულის, ფოტოზე გამოსახული ოფიცრისა და სავარძლის ამბავს მოვუყევი. ბენო სულ დაიბნა. გაოგნებულები მივდიოდით რესტორნისკენ.

– რა ჯანდაბის სავარძელია? – კითხულობდა გაკვირვებული, თან გაბრაზებული ბენიამინი, – სულ გააფრინა, თან მთელი დღე ბენედიქტეს მეძახის. ვინ იყო ბენედიქტე?

– მე რა ვიცი, ბენედიქტე ვინ იყო?! – გავბრაზდი, მაგრამ მაშინვე ფოტოზე ნანახი ოფიცერი გამახსენდა, – სმას უნდა მოვუკლოთ, თორემ ხომ უყურებ ალფონსს? ჩვენც გავაფრენთ ალბათ.

– მართალია, – ამოიხრა ბენომ, – აი, დღეს ინსტიტუტშიც არ წავედი. ავდეგები და ცოლს მოვიყვან.

იმ სავარძლის შემდეგ ალფონსი საერთოდ შეიშალა, ქეიფი გაათმაგებით განაგრძო. ბენომ დააპირა ერთხელ სავარძელში ჩაჯდომა. კინაღამ მოკლა. აქ ვფიქრობო, ყვიროდა მთვრალი, მუხები მომდისო.

მაგრამ ერთხელ, ღვინის მოსატანად რომ გავიდა, დრო ვიხელთე და ჩუმიად ჩავჯექი. მთელი საათი გასუსული ვიჯექი, თვალეზიც დავხუჭე. რალაც წუილი მესმოდა, მერე წყლის ხმა მომესმა. ზღვა იყო, პლაჟზე ვიდექი ნაყინის რიგში, უკან ვილაც

მსუქანი რუსი ქალი იდგა, მხესუმზირის ჩენჩოებს პირდაპირ ზურგზე მაფურთხებდა. მივუტრიალდი, უზარმაზარი, ჩემზე ორი თავით მაღალი ქალი იყო, მისი მკერდის ჩრდილში ისე ვიდექი, თითქოს აივანს შევფარებოდი. საშინელი მკერდი ჰქონდა. ასე ოცი-ოცდახუთი კილო. ქალბატონო, რას კადრულობთ, სანაპირო ნაგვიანდება-მეთქი. ქალმა უშველვებელი პირი დაალო და მიღრიალა – ახლავე მაგ სავარძლიდან აეთრიე, თორემ სიფათს ამოგინაყავო. გული გადამიტრიალდა, მუშების ლოდინში ჩაძინებულს გალემილი ალფონსი წამომდგომოდა თავზე. თან ქალიც ახლდა, ძალიან ლამაზი. ალფონსს ბოდიში მოუხუხადე, მან კი ქალი გამაცნო.

– ეს ლაურაა, – მითხრა, – ჩემი სიმარტოვის გამზიარებელი!

გავიხსენე, ამ დროს პოეტები როგორ იქცეოდნენ, ლაურას ხელი გამოვტაცე და ნაზად ვაკოცე. ლაურამ ცხვირში წიკპურტი მითავაზა, რა გქვია, ჩიტოო, მკითხა. გავცეცხლდი, ხელი გასწი, შე გათახსირებულო-მეთქი. – რაოო?! – სახე მოექცა ლაურას (მერე გავიგე – წარმოშობით თავადი ყოფილა) და უზარმაზარი, ფიქსატორიანი დანა იმიშვლა.

გადარჩენილს ორას გრამ კონიაკს დავალევიებო, სიცილით იგუდებოდა ალფონსი. კონიაკსო? – ქალმა კაბის კალთა მარცხენა ხელზე გადაიხვია, მარჯვენაში, აკი ვთქვი, ბებუთი ეჭირა, მეცა, წამაქცია და ფეხი დამადგა. ერთი წამით დავიბენი – ქვემოდან ფეხი ისეთი ლამაზი ჩანდა... თეთრი, თეთრი... აბაზანასავით. შიგნით... ეე... ესე იგი, ზემოთ რალაც ვარდისფერი ჩუქურთმებით თუ „კურუაობით“ მთავრდებოდა. სუნთქვა შემეკრა. ლაურამ ამართული დანა შეაჩერა, თანაგრძნობით მკითხა, რა იყო, ქალი არ გინახავსო? დიხაც-მეთქი, ყოჩაღად მივუგე, მაგრამ მეშინოდა. ალფონსი კი, არამზადა, სანოლზე ფაშასავით იჯდა, ზენარი სენატორის ტოგასავით მოეგდო და ახარხარებული, მარჯვენა ხელის ცერა თითს დაბლა იშვერდა – აქაოდა, დამარცხებულს ბოლო მოუღეთო. ლაურამ ბებუთი მომიქნია. რას სჩადი, ქალო, ორასი გრამი კონიაკისთვის მკლავე, მე იქნებ მთელ ბოთლს გალევინებ-მეთქი. ამან მიშვლა. ლაურამ წამომაცენა და წადი, ის შენი მთელი ბოთლი მოიტანეო, გარეთ გამომაგდო. რა უნდა მექნა – შარიანი გოგო ჩანდა. ავედი სახლში, ჩამოვიტანე კონიაკი. სომხური იყო. სომხებს კარგი კონიაკი აქვთ, მაგრამ ჩვენი სჯობს, ფრანგული ყველას სჯობსო, მე კი არ მიყვარს, სომხური მირჩევნია. დავთვერით. ლაურამ ლოყაზე მიჩქმიტა. ალფონსს ეუბნება, საყვარელი ფისოაო. აღარ გავზრახებულვარ. ჯიგარიაო, დაუდასტურა ალფონსმაც. მერე ადგა, ჯიბიდან დაჭმუჭნული ფურცელი ამოიღო, გაასწორა და ლექსი წაიკითხა. კლდეებზე იყო, სიყვარულზეც. როგორც ლექსიდან გავიგე, ალფონსი კლდიდან გადაჩეხილა, და ვილაც ლ.ს.-ს გულისთვის. ლ.ს. ლაურა აღმოჩნდა და ატირდა. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თვალეხი მოიწმინდა. ისევ ატირდა, ისევ მოიწმინდა. ცხვირსახოცი მომანოდა, გაიქეცი, დამისველეო. დავასველე. დამშვიდებულმა ლაურამ გიტარაზე დაუკრა. ისე ნალვლიანად მღეროდა, გული ჩამწყდა. ალფონსმა მითხრა, ტექსტი ჩემიაო. ამასობაში კონიაკი დაიცალა. ვაშლი, შოკოლადი მაჩუქეს და გამომისტუმრეს – სულელები უნდა გამოვიძახოთო. რა დასამალია, მენყინა, რომ პატარა ბიჭივით გამომაგდეს. ფანჯრიდან გავცქეროდი ალფონსის სარდაფის კარს, ლაურა მედგა თვალწინ. სულელები უნდა გამოიძახონ! ვიცი მე ეგ სულელების გამოძახება. თან რა ფეხები ჰქონდა – ჩუქურთმებიანი!

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ალფონსის ოთახში წვილ-კვილი ატყდა. გინების და მტვრევის ხმა ისმოდა. კარი უცებ გაიღო. შიშველ-ტიტველი ლაურა გარბოდა, გულში თავისი კაბა, ჩემი კონიაკის ბოთლი და ის რაღაც ჩუქურთმებიანი ჩაეხუტებინა. უკან ზენრის ამარა ალფონსი მისდევდა იატაკის სანმენდი ჯოხით, პირით ვაშლი ეჭირა, იროკებს თუ ჰოტენტოტს ჰგავდა. ყველაზე საოცარი – ალფონსს კარიდან გამოსხლტომისას მძლავრჩექმიანი პანლური მიაყოლეს. კარში, მგონი, რკინის მუზარადიანი, ხმალმოღერებულ ახმახი იდგა, თქვენი ფეხი აქ აღარ ვნახო, ყვიროდა. ღმერთო, ეს ვისი სული გამოუძახიათ-მეთქი, გავიფიქრე. ლაურა ეზოს კართან გაჩერდა, ბოთლი მოიყუდა, დაცალა, მუზარადიანს ესროლა და გაიქცა. ალფონსი ძუნძულით დაედევნა.

ამას წინათ ალფონსი პირველად გვესტუმრა სახლში. რა თქმა უნდა, მთვრალი. ფხიზელი არაფრით არ იზამდა ამას. მე და მამა ვვახშობდით. დედა შეუძლოდ იყო და პიანინოზე უკრავდა. ალფონსი პიანინოს ფორტეპიანოს ეძახის, დაკვრით კი მხოლოდ ერთ რამეს უკრავს, ისიც ცალი თითით. წეროების გადაფრენაზეა. განწყობას მიქმნისო, ამბობს.

– შენზე ოდა დავწერე! – გამომიცხადა კარში გალაჯულმა ალფონსმა.

ნაგვიკითხეო, მკაცრად სთხოვა მამამ. ჯერ დამალევინეთ და ნაგვიკითხავთო. მამამ კონიაკი გადმოუღო. ალფონსი ჩაის ჭიქის გავსებას შეუდგა. სანამ ავსებდა, დედაჩემმა რამდენიმე წერვილი აკორდი აიღო. ალფონსმა ჩაის ჭიქა დაცალა და ხმაურით დადგა, მერე ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და ისეთი საშინელი რამ წაიკითხა, ორი ღამე არ მიძინებია. გაირკვა, რომ მე დემონი ვარ, თეთრი თვალებით, თანაც იმდენად უსუსური, რომ არავითარ დემონურ (ღმერთო, დამიფარე!) ძალას არა ვფლობ. ამიტომ მზად ვარ, ეშმაკს სული მივყიდო, მამისმკვლელი გავხდე, რათა რაღაც თილისმა ჩავიგდო ხელში. ამასთან, თანახმა ვარ, საზიზღარი, ბილწი ურჩხულის... როგორ თქვა? ჰო... მანტია მოვისხა, იმის მაგივრად, რომ კეთილი, რომანტიკული დემონი-ეშმაკუნა ვიყო. შემდეგ კი მამშვიდებდა: ნუ გეშინია, ჩვენ (ალბათ პოეტები) ამის ნებას არ მოგცემთ, არხეინად იყავი, კაცად გაქცევთ და ერთად წავალთ სადღაც ელიზეუმში, სადაც ლამაზ-ლამაზი ნიმფები, ქალღმერთები, ოფიციატები და შამპანური არ მოგვაკლდებაო. ბოლოს, წინადადებას მაძლევდა, საჩქაროდ შემება დაშნა და ავმხედრებულისავი, ვინაიდან რიგალი აღარ ითმენდა და დრო იყო, კავკასიონი გადაგვემსხვრია. აქ მამაჩემმა შეჰკვილა (საერთოდ, ბოხი ხმა აქვს და წარმოსადეგი კაცია), დემონიც ეშმაკიო, კონიაკი ბოთლით მოიყუდა, დაცალა და ალფონსს დაედევნა. ალფონსმა გასაოცარი ალლო გამოიჩინა – ბოთლის დაცლას აღარ დალოდებია, კისრისტეხით დაეშვა კიბეზე. ორი სასწრაფო გვყავდა. მამაჩემი ტახტზე იწვა, თვალებდაბინდული ამბობდა ლექსებს. ალფონსის ოდის სტრიქონებით დაიწყო და შექსპირზე გადავიდა. ბოლოს „მაკბეტიდან“ კუდიანების სცენა წაიკითხა. ბავშვისთავიან მოჩვენებას ალფონსი უწოდა და დადუმდა. ექიმმა რაღაც დამანყნარებელი წამალი შეუშხაპუნა და მორიდებით მკითხა, მამათქვენი რომელ თეატრში მოღვაწეობსო. მესიამოვნა. კარგია არტისტი მამა, ახლა მოდაშია. ერთი ჩემი მეგობრის მამა თოჯინების თეატრში მუშაობს. ერთხელ პრემიერაზეც მიგვიწვია. ამაყად დავგვირიგა პროგრამები. ორი პერსონაჟი დამამახსოვრდა – კეთილი მგელი და ბოროტი მგელი. აღმოჩნდა, რომ პრემიერანტი მამა ორივეს თამაშობდა – კეთილს მარცხენა ხელით, ბოროტს – მარჯვენათი. მერე ბანკეტი იყო.

კარგია ხელოვანი მამა. რა უნდა მეთქვა, თეატრში მამაჩემი, მგონი, სულ არ არის ნამყოფი. ექიმს ვუთხარი, მოხეტიალე მსახიობია-მეთქი. რა ჰქვიაო, ჩამაჯინდა. რა უნდა მექნა, ავდექი და თუმინანი მივეცი, ასკინკილით ჩაირბინა კიბე იმხელა ქალმა. კიბის ბოლოს ალფონსი დახვდა. გადარჩებაო, ჰკითხა. თავხედი...

ამ ამბის შემდეგ მამაჩემმა გაათქვამებით შეიძულა ალფონსი. ერთხელ ნასვამს გამოეკიდა კიდეც, ვიგინდარა პარაზიტს ეძახდა. ალფონსი თავის ბუნაგში გამაგრდა. მამაჩემმა კარი ვერ შეანგრია. რას იზამ, წნევა აქვს, კარი კი რკინისაა. გამხიარულებული ალფონსი კარს უკნიდან უკითხავდა ლექსებს:

„ჩამომსხვრიე გალავანი, დასცხე კარიბჭეს!“

მამაჩემი მალე აღეგზნება ხოლმე – ათჯერ მაინც ეძგერა კარს.

„თუ შემომტვრევ, აქ მოგელის შენ დულსინია, – სწრაფად თხზავდა ალფონსი, – და შავი ჩრდილი ესპანური მარაოების...“

მაგრამ, როგორც ვთქვი, კარი რკინისა იყო. ისევ გამოვიძახეთ სასწრაფო დამანყნარებელი ექიმით. მამაჩემი კარს შუბლით იყო მიყრდნობილი, მარცხენა ხელისგულზე იფურთხებდა, მარჯვენა მუშტით სრესდა და კიოდა. ექიმები მხრებში შეუდგნენ და წაიყვანეს. მერე ალფონსი გამოვიდა. ფეხთან არყით სავსე ჭიქა დაიდგა, შესძახა:

– გაუმარჯოს ჭეშმარიტ კონკისტადორებს! – დაიხარა, ჭიქა კბილებით აიღო, გამოცალა, ჰაერში აავდო, დაიჭირა და რევერანსში ჩაჯდა.

– ვაი, შენს პატრონს! – გულახდილად უთხრა მეზობელმა პენსიონერმა.

– ჩემი პატრონი ის მნათობია, – ჩააგონა ალფონსმა, – გატანჯულ სულებს თავს რომ დაჰნათის! – მერე მეზობელ პენსიონერს ჩააჯინდა: „ო, ბრიყვო მატლო, უსუსურო არარაობავ, ახლავე მუხლი მოიყარე, მოინანიე!“ საშინელი თვალებით უმზერდა. თავზარდაცემულმა ბიძია აბესალომმა (პენსიონერს აბესალომი ჰქვია. ის ზემოთ, ალფონსის ბაბუის ყოფილ სასადილო ოთახში ცხოვრობს, თავის ძმასთან, სამსონთან ერთად) მართლა დაიჩოქა და ხელები ცისკენ ალაპყრო. ცალ ხელში გაზეთი ეჭირა, მეორეში – სათვალე. გააფთრებული სამსონი ზვაგვივით დაეშვა კიბეზე.

– შეჩერდი, სამსონ! – დაუკვილა არამზადა ალფონსმა, – ბედისწერა არას გავალებს, მოვა დალილა და შეგაჭრის ლამაზ დალალებს (სამსონი ზონზროხა, მელოტი ბერიკაცია). მუხლთ მოიყარე! – თვალებგადმოკარკლული აჰიპნოზებდა ალფონსი, – შეხე, შენი ძმა, ვითარც ძროხა წევს და იცოხნება!

სამსონს ცრემლი მოადგა თვალზე, ჯერ დაიხარა, აბესალომს გამეჩხერებულ ქოჩორზე აკოცა, მერე ნელ-ნელა ჩაიჩოქა, ძმას ჩაეხუტა და ხმამაღლა აზლუქუნდა. ეზოში პანიკა ატყდა. მეზობლებმა მაშინვე მიაშურეს სახლებს. ისმოდა შეკეტილი კარების ჯახაჯუხი. ეზოში დავრჩით მე, ალფონსი და ერთმანეთს ჩახუტებული, უკიდურესობამდე შეშინებული ტყუპები – სამსონი და აბესალომი. ალფონსი ძმებს ფეხაკრებით მიუახლოვდა. სახე ამჯერად მშვიდი ჰქონდა.

– ძმებო, – ჩურჩულით დაუძახა, – ჯიბეში რამდენი გაქვთ? ძმებმა სინქრონულად დაირტყეს ჯიბეზე ხელი. თვალეებში ხაზგასმული ერთგულებით შესცივინებდნენ.

– ძალიან კარგი, – ალფონსი უკვე ილიმებოდა, – რომელი რესტორანი გიყვართ?

– პლატონას დუქანი გიყვარდა. – ერთხმად წაიჩურჩულეს დაჰიპნოზებულმა ძმებმა.

– ეგ ადრე იყო, თქვენი ბავშვობის ოქროს ხანაში. ახლა იქ ცათამბზენები ააგეს, სატვირთოები დაშლივინებენ და ნარკომანია ყვავის. მე უფრო კარგი ვიცი, „ოქროს პუდელი“ მოგნონთ? – ძმებმა პირები მოკუმეს და თავების კანტურს მოჰყვენენ.

– ოღონდ წინასწარ მითხარით, ვის რა განუხებთ.

– დაბალი წნევა მაქვს, – აბესალომმა თქვა.

– სიმყავე, – ამოიოხრა სამსონმა, – ბოლოს მიღებს.

– შენ შავ ღვინოს დალევ, შენ, ჩემო სამსონ, აგიღებთ არაყს. ფული თუ საკმარი-სია, გოგოებიც წავიყვანოთ, ბიცოლაჩემის თანამშრომლები არიან...

აბესალომმა დაჭმუჭნული გაზეთი გულში ჩაიკრა:

– ქერთამიანები მიყვარს... ასე, ორმოც-ორმოცდახუთზე მეტის ნუ იქნება მაინც-ცდამაინც.

– ორმოცდახუთზე მეტის როზა იყო, ლუქსემბურგი, – გაუგებრად წარმოთქვა ალფონსმა, – შენ, სამსონ?

– სულერთია, – მკვირცხლად მიუგო სამსონმა, გულისპირზე ხელს ნაზი დამორცხვებით ისვამდა, – მთავარია, ვერიჩკა ერქვას.

– ბიჯოს! – მე და ალფონსმა თვალები ვჭყიტეთ.

– ვერიჩკა ჰყავდა ამას, – მდგომარეობიდან გამოიყვანა განითვლებული ძმა აბესალომმა, – ომის დროს პარტიზანობდა სამსონა. იქ იყო ერთი ვერიჩკა. ვილაც გესტაპოელს ეკურკურებოდა ის ღმერთგამწყვრალი და დაღუპა მთელი ბრიგადა. დახვრიტეს ყველა. სამსონა სასაფლაოდან არის ამომძვრალი. მას მერე სადაც ვერიჩკას გადაეყრება, არ ახარებს. მოკლედ, გესმის, ბიძიკო, შენ. ჭკუა-გონება არ გაკლია, ხომ კი?!

ალფონსი ჩაფიქრდა: – არის ერთი ვერიჩკა, მაგრამ ის პატრიოტი ქალია, საბავშვო ბაღში ძიძად მუშაობს და საპარაშუტო სპორტზე დადის. არაფერი აწყენინო, სამსონ! სამი წლის დობერმანს ცალი ხელით ახრჩობს.

სამსონმა დაიბზუბუნა, აქაოდა, მაგისტანების არ მეშინიაო. ალფონსი დაკმაყოფილდა და ხელების ფშენეტას მოჰყვა.

– აბა, წავსულვართ, – გამომხედა ალფონსმა, – რას დაყუდებულხარ? ნაწყენი ვიყავი და ზურგი შევაქციე (მამას მიკლავდა პოეზიით). ალფონსმა ბერიკაცები წაიყვანა პირდაპირ ისე, როგორც იყვნენ – პიჟამოებით, ფლოსტებით და გადანახული პენსიით ჯიბეში. ჩვენში პენსიონერებს უფრთხილდებიან, მით უმეტეს, ყოფილ პარტიზანებს, ერთი-ორი თუ დაგვრჩა ასეთი. მერე მოვიდა ბენო, დაიწყო ალფონსზე ქილიკი. ახლა იქილიკოს. სულ ანგელოზივით ქალები აკითხავენ, „მერსედესებით“ და რით აღარ. იმ საღამოს შემდეგ კი, როდესაც ალფონსს მაგიური სავარძელი მოუტანეს და სიგიჟის ხანა დაიწყო, კარეტამაც მოაკითხა, რომელსაც ოთხი ცხენი ება. გადმოხტა მეეტლე, გამოაღო კარი, გადმოხსნა კიბე. ქალი ჩამოვიდა? დედოფალი მარგო! იმის მსგავსი არავინ მინახავს. თავიდან ის გრაფინია მეგონა – ზინგერ გრამონი თუ დავიდოვ ზინგერი. მაგრამ ეს უფრო ლამაზი და ახალგაზრდა იყო. ეხო შოკში ჩავარდა. რა მკერდი ჰქონდა... მე ჩემი ბედი რა ვთქვი – ისეთი ქალები მხვდებიან, თუ საგულდაგულოდ არ დაათვალიერე, მკერდს ვერ უპოვნი. მარნმუნებენ, ბალერინები ვართ და იმიტომო. რალა ყველა ბალერინა მე მხვდება?! ერთი ძიძა მაინც შემხვდეს ან დონორი. ჰოდა,

გადმოვიდა ის ქალი, მოვიდა და მეკითხება, მაპატიეთ, გეთაყვა, სად ცხოვრობს მუსიე მენესტრელიო. ისეთი ნაზი ხმა ჰქონდა, კინალამ გული შემინუხდა, რას ამბობთ, ასეთი აქ არავინ ცხოვრობს-მეთქი! არა, ბატონო, დარწმუნებული ვარ, მუსიე ალფონსი ზუსტად აქ ცხოვრობსო. – ალფონსი მაგას და არგადარჩენა! – მოისმა ზემოდან, თურმე მეზობელი დაგვყურებდა, უხეში და წვერე... ეე... ვულგარული ქალბატონი სუსანა.

– გაჩუმდით, დეიდა სუსანა!

– რატომ გავჩუმდე, ეტყობა, ვალი აქვს და მოაკითხა. მაგებლა ქალს ტვინი არა აქვს, ვის აძლევს ფულს... მაგრამ, აბა, მაგას რალას ვერჩი, როცა მეც ვაძლევ ხოლმე...

ქალბატონს ბოდიში მოვუხადე, ჩემი მოახლეა, ცოტა ნერვიულია, ნუ გაუნყრებთ-მეთქი. იმან კი, ქალბატონმა, ისე გამიღიმა... ღმერთო, ხელიც მომკიდა (მაჯაზე მომკიდა, რასაკვირველია (ანუ, მესმისო)) და ალფონსის კარზე დააკაკუნა. გამოვარდა გიჟი-გადარეული. პერანგიც არ ეცვა, პომიდორს ჭამდა და მწვანე ნიორს აყოლებდა. ქალის დანახვაზე გაიღრიჭა. თვალი ჩამიკრა, როგორიაო, მერე სახლში შეიყვანა და მეკითხება: – პომიდორი არ გინდა, ნიკო? – არაფერიც არ მინდოდა. ვიცოდი, სულელების გამოძახებას დაინწყებდნენ. მიიხურა ალფონსმა კარი. მე კარეტას ვათვალიერებდი. მეეტლემ ფართოფარფლებიანი ქუდი მოიხადა, ოფლი მოინმინდა და შემომიღრინა, რა გინდაო. ვუთხარი, კეთილი განზრახვით ვათვალიერებ-მეთქი და ისიც დამშვიდდა. – ეს კარეტა კინოსტუდიისაა? – ის იყო, ვკითხე და სარდაფის კარიც გაიღო. ქალბატონმა ჯერ შიშველი მკლავი გამოყო, მერე თმაგანენილი, კობტა თავი და – ალფრედ, დაუკარ! – ძველქალაქურ კილოზე უბრძანა მეეტლეს. მეეტლემაც რალაც გიტარის მაგვარი მოიმარჯვა, პიეროს სახე მიიღო და სიმებს ჩამოჰკრა. ვსკდებოდი გულზე...

ჰო, მართლა, ის ძმები რომ წაიყვანა, აბესალომი და სამსონი, უნდა გენახათ, სალამოს როგორ დაბრუნდნენ. მოვიდნენ ფაეტონით. წრიპა აბესალომს უზარმაზარ-მკერდიანი ქალისთვის ჩაეყო უხეში ცხვირი, გამწარებული არწმუნებდა, ტყუპები ვართო. ქალი როხროხებდა და სიმწრით გადარჩენილ თმებს ღერა-ღერა აგლეჯდა კეფაზე. სამსონი ტიროდა, ქერათმიან ახალგაზრდა ქალს წითელ ფეხსაცმელებს უკოცნიდა, – მიპატიებია, – ლულულულებდა, – არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ჩვენი პარტიზანული ბრიგადის სახელით!

ალფონსი და მეფაიტონე არღნის სახელურს ატრიალებდნენ. არღანზე კი ფეხ-შიშველა ცეკვავდა გოგო, ხელში თეთრი ქოშებით. – წუთისოფლის სტუმრები ვართ! – მღეროდა ალფონსი, ხოლო მეარღნე გაჰკიოდა, – ტაში-ტუში, იქეიფეთ, მეზობლებოო! მეზობლებმა სადაც საჭირო იყო, იქ დარეკეს – ამორალური მობინადრე გვყავს, პენსიონერებს რყენისო. მოიჭრა ოპერატიული ჯგუფი, სირენებით, ძაღლებით, ავტომატებით. აბესალომი რა, ჩია ბერიკაცი იყო, საცობივით ამოაძვრინეს როხროხა დედაკაცის მკერდიდან. აი, სამსონის შეპყრობა გაჭირდა. ვერიჩკას – ქალს ალბათ ვერიჩკა ერქვა – ამოფარა, შესძახა, ამათ მე შევაჩერებ, თქვენ თავს უშველეთო, და წესრიგის დამცველებს დილამდე იგერიებდა.

წესრიგოსანთა მანქანიდან კი აბესალომის ტურფას ხარხარი ისმოდა. ერთი-ორ-ჯერ აბესალომმა დაიძახა, გამომიშვით, პენსიონერი ვარ, მეტს აღარ ვიზამო, მაგრამ არ გამოუშვეს. ალფონსმა დრო იხელთა, მეფაიტონე თავის არღანიანად შინ ამომიყვა-

ნა, ცოტა ხანს შეიფარე, არ დაიჭირონო, მთხოვა. მერე ფეხშიშველა მოცეკვავეს უბრძანა, ცუდი არაფერი ჩაიდინო, როგორც ეკლესიაში, ისე მოიქეციო, ფაეტონს მოახტა და ცხენი გააჭენა. ამასობაში სამსონიც მოტყდა. მანქანისკენ რომ მიყავდათ, გულში მჯილს იბრაგუნებდა, სიმჟავე არა მქონდეს, სეირს გირვენებდითო. მამაჩემი მეარლნეს გააგებული შესცქეროდა. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა (მანამდე ჩანგალს ღუნავდა და ასწორებდა), დამიკარიო, სთხოვა.

– არაყი დამალევენით! – ითხოვა მეარლნემ, ლოყაზე დაკოსებული ხალიდან გრძელი, დაკლაკნილი ბენვი გამოიძრო, – ყელი გაშრა, ვერცა ვმღერი, ვერაფერი.

დავუსხით. მეარლნემ დალია. შენც ხომ არ გინდაო, ახლა გოგოს მიუბრუნდა მამა, ნაცრისფერი ედო. – რას ამბობ, კნიაზ! – თავის ქნევას მოჰყვა ლოყახალიანი, – ეგ ჯერ ქორფაა. მაგას არაყი ხურმასავით გაახმობს. გოგომ გაიცინა, მორცხვად ლიქიორი მოითხოვა, თუ არა გაქვთ, კახურს დავლევ, შამპანურს ვერ ვენყობი, გაზიანიო. არც ლიქიორი გვქონდა, არც კახური. გოგომ, მაშინ თუმანი მომეცით, გიმკითხავებთო, ჩანთიდან წითელ-ყვითელი ვეება თუთიყუში ამოიყვანა. მამაჩემმა სიბრაზისაგან აკანკალებული ხელი ჯიბეში რომ ვერა და ვერ ჩაიყო, ფული მე მივეცი.

– აბა, კაკო, – ეუბნება თუთიყუმს გოგო, – გაუშალე ამ პატიოსან ახალგაზრდას კარტი!

აქ, არც მეტი, არც ნაკლები, თუთიყუმმა ნისკარტი აამოძრავა და ადამიანების ენაზე იკითხასავით: კამათელი არა სჯობიან, დუშკაჯან?! გულმა რეჩხი მიყო, რალაც ბილნი, ავარული გამოთქმა ჰქონდა. მერე ფრთები ზურგზე დაილაგა, ნიშნის მოგებით შემომაცქერდა. გოგომ ამოიღო კამათლებით სავსე ქისა, ააჩხარუნა და მაგიდაზე გადმოყარა. კაკო თვალდაჭყეტილი დააცქერდა: – ვაჰ, რეებსა ვხედავ! ქალი გყვარებია?! – თავი დავუქნიე.

– გინდა, სახელიც გითხრა? – თავხედურად მომჩერებოდა, – თუმცა რად გინდა, შენც იცი, – მაგიდაზე აბაჯბაჯდა, აქეთ-იქით გაგორებულ კამათლებს აკვირდებოდა, – აბა, მოდი ახლოს! – მომეპატიჟა, – ამ შაშს ხედავ?

– ვხედავ.

– ჰოდა, ეგ არი...

– რა ეგა?

– შაში ხოა?

– შაშია.

– ჰოდა, მეტი რა გინდა? უღალატნია, უღალატნია იმ... იმ... არც კი ვიცი, რა დავუძახო. კიდე ხო არ გიყვარს? – გამომცდელად შემომაცქერდა. თავი გავაქნიე.

– კაცი ხარ! – შემაქო, – მეცა მყავდა ერთი... ვარდო ერქვა. იმის გულისთვის ორჯერ გავტეხე გალია. ვინ გიფასებდა?! ჰოდა, ეტირა ყოფა.

– მოკვდა? – მივეფერე კაკოს, თავბრუ მესხმოდა.

– არა, სტამბოლში გაყიდეს. იჯდეს ახლა ჰარამხანაში. არა სჯობდა, დარჩენილიყო, გული გადაეხსნა... შევინახავდი დედოფალივით. მართალს არ ვამბობ, ჯუსო? – მეარლნეს გასძახა. ის არ უსმენდა, თვალმილულული ატრიალებდა სახელურს და ოხრავდა.

– მომავალი გაინტერესებს? – მომიბრუნდა კაკო, მერიდება კიდეც, თუთიყუში ვუნოდო.

– მიდი!

– თუ გინდა, აყარე კამათლები!

– მე როგორ აყარო?

– მა, მე როგორ აყარი?! ჩიტი ვარ! – შეიცხადა და ფრთები გაშალა. კამათლები მოვაგროვე და აყარე. კაკო ბაჯბაჯით გამოემართა, დასცქეროდა კამათლებს და თავს აქნევდა.

– ამ ფანჯს ხედავ?

– ფანჯია.

– ჰოდა, ყველაფერი რიგზეა. კიდევ დაგენვება ჯიგარი... ლუიზა ერქმევა.

– ლუიზა? მე ლუიზას არავის ვიცნობ.

– თუ ლუიზა არ მოგნონს, კიდევ აყარე. იქნება მოგიძებნო რამე.

– კარგი და, ეს იაქი რალას ნიშნავს?

– რა იაქი, რის იაქი! რა ჯანდაბად გინდა იაქი?! ადამიანურ ენაზე გეუბნებიან, შაში დაჯდა – გილალატა, ფანჯი მოვიდა – შეგიყვარდება, თანაც ლუიზა. რა გინდა, ევროპული სახელია, სულ პრინცესებს ერქვათ. არ გაგიგია ლუიზა პირველი ბურგუნდსკაია, ლუიზა მეორე ბოჰემსკაია? კიდევ ერთი იყო – სიმფეროპოლსკაია, მაგრამ ის პრინცესა არ იყო, პოტიომკინის საყვარელი იყო. ატყუებდა, პრინცესა ვარო. მერე გაუგეს – ოდესაში „ედელვაისის“ ვარიეტეში ცეკვავდა. შენი ლუიზა ჩვენური გოგო იქნება, კარგი, მეოჯახე, ჩხუბი, რამე, აყალმაყალი არ ეყვარება, ბავშვებს მიხედავს, მთვრალი მოხვალ – ტუფლებს გაგხდის, დაგაძინებს, იავნ-ნანაა, ვარდო-ნანა... ოხ, ვარდო, ვარდო, შენ დასწვი ჩემი გული და ჯიგარი! სიმფეროპოლსკაიაზე უარესად გაყიდულო, ლამაზო და აფერისტო.

– თქვენ თვითონა ხართ აფერისტი! – ნამოხტა მამაჩემი, მეტყველების უნარი დაბრუნებოდა, – რაში მიგაქვთ თუმანი?!

– როგორ თუ რაში? რაში და შენს ბიჭს ანგელოზივით ქალი გავურიგე, დავამშვიდე, გავაფრთხილე, ბოზებს მოერიდოს... ჯეელობაში ბოზი ვის არა ჰყვარებია? ღირსი არა ხარ, ეხლა რძლად გეჯდეს, პაპიროზს ცხვირში გაბოლებდეს, გლინტვეინსა სვამდეს, ღამე კიდე ფანჯანაში კენჭებს უგდებდნენ?! არა, რაშიო, გესმის, ჯუსო?! თანაც მხედავს, ჩიტი ვლაქლაქებ! ძაღლის ყბა გამოვიბი, ჯეელი მაინც ვიყო. აბა, მითხარი, რამდენი წლისა ხარ?

– სა... სამოცდაათის, – ენა დაება მამაჩემს, – ვხდები.

– შენხელა შეილიშვილები მყავს. ერთი პარიზში ცხოვრობს... მეორე ნიცაში მზესუმზირით ვაჭრობს, კომერსანტია. ამას წინათ მზესუმზირა გამომიგზავნა. ას ოთხმოცისა ვარ, ას ოთხმოცის! გენერლის ოჯახში დავიბადე. გაგიგია კნიაზ ციციანოვი? სასახლეში ვცხოვრობდი! ჯერ მეფისნაცვალს მოიკითხავდნენ, მერე – მე. შინ რო არ იყო, ელჩებს მე ვიღებდი. მაშინ კაკო კი არ მერქვა, არამედ – კონსტანტინ! ჩვენ გვარი არა გვაქვს. ყარსთანაც ვიყავი... ეე... შამილს რო ალყა შემოვარტყით, ორჯერ დავიჭერი. ფუჰ! იქ არწივები სცოდნია, კინალამ შემჭამეს. მე რომ მიცხოვრია, ისე ვერ იცხოვრებ! ოხ, ვარდო, ვარდო, რას მიშვრები... თუთიყუშად ვმუშაობ სამ ომგამოვლილი, ინვალიდი კაცი. მიეცით თავისი თუმანი, თორემ, რომ მიყურებს, თეთრი ცხელევა ვგონივარ! შენ კიდევ, ბოთე! – მომიბრუნდა გენერლის შვილობილი, – ლუიზას ტყუილად ძებნას ნუ



დაუნყებ, შენ იმის ღირსი არა ხარ! ცხოვრებას გაიფუჭებ. იმნაირ ქალს ხელისგულზე უნდა ტარება. ვახ, სად არის ამდენ ხანს ალფონსი, რამე ჯიგრიანს წაიკითხავდა. მოდი, დუშკა, გამიშალე კარტი! – მოკლედ, თუთიყუშმა მოიწყინა, გოგოს მხარზე დააჯდა, იჭყიტებოდა კარტში. მეფაიტონე არღანზე თვლემდა, ძლივსლა ატრიალეზდა სახელურს.

– გეყოფათ! – იღრიალა მამაჩემმა, – გაგრეკავთ ყველას!

– დაიცა! – შეუღრინა კაკომ, ქალაღდს მონდომებით ჩასცქეროდა, – მე მგონი, გზა მაქვს.

– ეს გზა არ არის, – უთხრა გოგომ, – ეს სუფრაა.

– რომელი გულბაათი მე ვარ? – გაუკვირდა კაკოს.

– სანოლიც ამოგივიდა.

– ჩვენ სანოლი არ გვინდა, – ამოიოხრა თუთიყუშმა, – ჩვენ სითბო გვინდა, სიყვარული და... მზუსუმზირა არა გაქვთ? – უცბად მიუბრუნდა მამაჩემს. ვის ემზესუმზირებოდა?! თენდებოდა უკვე. ის იყო, გოგომ კაკოს ბედ-იღბლის გარკვევა დაამთავრა, რომ კარი გაიღო და გადაპრანჭული ალფონსი გამოგვეცხადა. გამონყობილიყო, ნვერი გაეპარსა, გულის ჯიბეში კი დიდი, წითელი ვარდი ჩაეჩარა. – სალამი ძვირფას საზოგადოებას! – შლიაპა (თეთრი შლიაპა ეხურა) მოიხადა, წელში მოხრილმა თავს ზემოთ დაიჭირა, მერე ჰაერში გააქნ-გამოაქნია და ისევ დაიხურა. – ჩვენს ძვირფას და ხანშესულ ქალაქს გაუმარჯოს! – არღნიდან სავსე ჭიქა აიღო და მამაჩემს მხიარულად გამოსძახა, – ჰა, რას იტყვი, ძველო?! – მამამ თვალები დახუჭა.

– ნავედით, ჯუსო! – გასძახა მეფაეტონეს ალფონსმა, არაყი გადაჰკრა, – ესპანეთის მეფე ჩამოსულა, ცოტა უხერხული სახელი ჰქვია, მაგრამ არღან-ფაეტონზე გიჟდება თურმე.

– რახან ეგრეა, წამოვალ, – ხელი ჩაიქნია ჯუსომ.

მეარღნე, მკითხავი გოგო და თუთიყუშად შერაცხული სულიერი ალფონსის გასწვრივ გამწკრივდნენ, ცერემონიულად მოიხარნენ წელში. გოგომ კაბის ბოლოებში ხელები წაივლო და რევერანსი გააკეთა. რიგრიგობით გავიდნენ – წინ ალფონსი, მერე ჯუსო, გოგო და ბოლოს დარბაისლურად ზურგზე ფრთებშენწყობილი კაკო. კაკო კართან შეჩერდა, თავი მოუბრუნდა: – არა, როგორ იყო, ეს იაქი რაღაა?! მა, იაქით მოსული სიყვარული სიყვარულია, ბიჯო? – მერე გატრიალდა და აივანზე გაალაჯა. ეზოში გადავიხედეთ. ყველანი უზარმაზარ წითელ მანქანაში სხდებოდნენ, საჭესთან ქალი იჯდა. სახე ვერ გავარჩიე, საჭეს ჩამოყრდნობოდა ლამაზოთითებიანი, მკრთალი ხელის მტევანი, საჩვენებელზე უზარმაზარი ბრილიანტი.

– ნახე, რამხელა ბრილიანტია! – მამაჩემს ვუთხარი.

– შენ რა იცი?! – აღრიალდა მამაჩემი. – იქნებ ბრილიანტი არ არის?! იქნებ საფირონია? იმიტაცია?

– ბრილიანტია, – ნაღვლიანად თქვა დედამ, გამოსულიყო და ისიც ფანჯარასთან იდგა, – დაილუპება ეს ბიჭი.

მაშინ ყველას ეგონა, რომ დაილუპებოდა. ყაჩაღობსო, ამბობდნენ, ბანდის წევრიაო. აბესალომმა ისიც თქვა, მასონებში აქვს საქმე, მიტომაა, ფული რომ არ ელევაო. ახლა ცოტა თუ ფიქრობს ასე, ტყუებები სამსონი და აბესალომი ხომ სულ მის ქებაში

არიან. მეზობლებს უკვე სჯერათ – ალფონსი მართლა გამოცემს წიგნს, რომლის გამოცემასაც აგერ ამდენი ხანია აპირებს.

– ეგ იზამს, – ამბობს ვულგარული ქალბატონი სუსანა, – და ვალსაც გამისტუმრებს. ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი და გათახსირებული. ბოდიში, გათახსირებული არ უნდა მეთქვა.

ბენო დილიდან საღამომდე ალფონსის კართან არის ატუზული. მე კი ორიოდ ხელნაწერის მოპარვა მოვახერხე, ერთიც მომიძღვნა. საშინელი რამეა. რას იფიქრებენ ჩემზე, მაგრამ რას იზამ, მოძღვნა მოძღვნა...

\*\*\*

– არავინ იცის, რა არის სიყვარული, – წუხელ რესტორანში მარწმუნებდა ალფონსი, – თავიდან ოდნავ გრძნობ, გილიტინებს, იბნევი. მერე თანდათან მატულობს, განვალეებს... სანამ ფინანსური კომპარები დაგეწყება, ღამე სიგარეტს ეწევი და სისულელეებზე ფიქრობ. ვთქვათ, ზღვის ღამაზე, მაგრამ მიყრუებულ სანაპიროზე – ზღვა სულერთია – ყინულოვანის გარდა, ან მთებში ჩაკარგულ პატარა ქოხზე, სადაც იქნება თოვლი, სიჩუმე, ბუხარი და ორადგილიანი სავარძელი. წყნარი მუხიკა. დილით ჩამოვლილი კეთილი მონადირე შეყვარებულებს ირმის მწვადებს შეგინავთ და მოგიყვებათ ნაღვლიან ამბავს, როცა თოფი შემთხვევით გაუვარდა და... ქალის მკვლელობა დააბრალებს. რა იყო, რას გაფითრდი? ჩვენ ხომ ცოლები არა გყავს?! მოკლედ, სიყვარული შარიანი რამეა. იცი რა, სჯობს, სულაც გარიგებით მოიყვანო ცოლი. დედისერთა უკეთესია, სიმამრს შვილივით ეყვარები. – ალფონსმა ერთხელ მირჩია, ყველაფერს აჯობებს, ობოლი მოიყვანო. მე ობოლს მხოლოდ დეიდა სუსანას ვიცნობ. ის კი ოცი წლით უფროსია. გაგაცნობო, დამპირდა ალფონსი. მართლა მოიყვანა ერთი, ისეთი გამხდარი, მთელ საათს ვეზიდებოდი შინიდან საჭმელს. გოგო ჭამდა და ტიროდა. ბოლოს ჩანთიდან სურათები ამოალაგა, მაგიდაზე დააწყო და ისე მწარედ აქვითინდა, იმის საცოდაობით ქვა დადნებოდა. ცხვირსახოცს დაგისველებთ-მეთქი. თავი დამანებეთ, ყველანი მეზიზღებითო. ესეც შენ! მოშობლები ცოცხლები რომ ჰყოლოდა?! მტრისას.

– როგორია? – მკითხა ალფონსმა, – ნახე, რა თვალები აქვს! სევდის განსახიერებაა. – სევდას რა თავში ვიხლიდი, მკერდის ნატამალი არა ჰქონდა. შევაპარე, ბალერინა ხომ არა ბრძანდებით-მეთქი. ეგლა მაკლიაო, შეიცხადა. ალფონსმა განმარტა, საყვავილეში მუშაობს, სილამაზეს ემსახურებაო. მე თუ მკითხავ, ყვავილების გაყიდვა ვერაფერი სილამაზის სამსახურია. მეყვავილე მამაჩემის ოჯახში! თან წნევა აქვს. ალფონსმა ჭოჭმანი რომ შემატყო, გაესაუბრე, სულში ჩახედე, რა იცი, რა მარგალიტებს ფარავს ფერმკრთალი სხეულის ნიჟარაო, მითხრა. მარგალიტების დამფარავის ამ გოგოს არაფერი ეტყობოდა. რა უნდა მექნა, ავდექი, რესტორანში დავპატიყე. გოგომ სურათები აალაგა და სარდაფიდან გამოვედი. ალფონსმა, ოხერმა, ყველაზე ძვირი რესტორანი აარჩია. რას ვიზამდი, მივდევი ხბოსავით. რესტორნის სარკეში რომ ჩავიხედე, კმაყოფილი დავრჩი, კმაყოფილზე მეტიც – შემეხედებოდა. ახალი პიჯაკი მეცვა, წვერგაპარსულიც ვიყავი – სად იყურებიან ქალები, ეს ჩემის თვრამეტიანები?! მე აქ ობოლ მეყვავილეებს დავდევი... ალფონსი ნაბახუსევი, თვალებჩანთილებული და გაუპარსავი იყო. რომ დათვრა,

მიჩურჩულა, ელაპარაკეო. ადვილი სათქმელია. ჩუმად ამოვიღე ფურცელი – კითხვები მქონდა, ალფონსმა ჯერ კიდევ შარშან ჩამანერინა, ინტელიგენტ ქალებზე მიდისო, მითხრა. აქამდე არც დამჭირვებია, მეყვავილე კი ინტელიგენტივით იქცეოდა. – პოეზია თუ გიყვართ? – ვეკითხები. – გოგო მწვადს ჭამდა. გადაყლაპა და, ვგიჟდებო, მითხრა. აბა, რომელი პოეტი გიყვართ-მეთქი. გოგო კიდევ ჭამდა, თვალებით მანიშნა ალფონსზე, ეგაო. აქ მესამე კითხვა – „თქვენი საყვარელი პოეტის ბოლო კრებულზე რას იტყვი?“ – თავისთავად გამოირიცხა. ალფონსს ბოლო კი არა, პირველიც არ გამოეშვა. გადავედი მეოთხეზე, ის მთლად კითხვასაც არ გავდა: მდაა, ამ ავტორს საინტერესო ცხოვრება ჰქონდა. გოგომ პირი მოწმინდა და ალფონსს აკოცა. ვატყობდი, კითხვარი არაფერში მადგებოდა – მთელი სუფრა ალფონსზე ხომ არ ვილაპარაკებდით. ავდექი და საკუთარი კითხვების მოფიქრება დავიწყე. მამაჩემი გამახსენდა. – თეატრი გიყვართ? – შეეცვირე. – გოგომ, გააჩნია რომელიო. აქ ჩიხი იყო – თეატრთან მწყრალად ვარ.

– ნამოდით, თეატრში წავიდეთ! – ნამოვიწიე. – თქვენ წადით, – წაიდუღუნა ალფონსმა, – მე რალაც არ მინდა.

– მე ალფონსთან დავრჩები, – მიესიყვარულა გოგოც.

– კარგი, ნუ წავალთ, – გული ჩამწყდა, ერთხელ მაინც ხომ უნდა წახვიდე, თოჯინების თეატრის ამარა ვარ ამხელა კაცი, – აფიციანტ, შამპანური!

– ბიფშტექსიც! – დააყოლა გოგომ. ასეთი მჭამელი არ მინახავს, სახლში არ შეიშვება. ვიჯექი, ვიხსენებდი, რაზე ლაპარაკობდნენ ქალებთან. გოგო და ალფონსი რალაცაზე იცინოდნენ. ჰო მართლა, დედაჩემი უკრავს...

– მუსიკა გიყვართ? – ისე ვიღრიალე, ორივენი შეხტნენ.

– კლასიკა, – კატეგორიულად თქვა გოგომ, ბიფშტექსიან თეფშს დასჩერებოდა.

– რომელი? – გულისფანცქალით ველოდი პასუხს. ბეთხოვენი ვიცოდი, „მთვარის სონატა“, სკოლაში გოგოები უკრავდნენ ხოლმე, და ბახი. გრძელი თმები ჰქონდათ... ჩვენ კი სკოლაში გრძელი თმებით არ გვიშვებდნენ. გოგომ საშინელება თქვა: პროკოფიევი! რა დასამალია, გაგონილი მქონდა, ოლონდ რევილუციონერი მეგონა, მენშევიკი.

– მოძველდა, – თქვა ალფონსმა, სკამის ზურგზე გადანოლილი უტიფრად მომჩერებოდა. იმნამსვე მივხვდი, სისულელე წამოროშა, მაგრამ ისეთი სახით, რომ კაციშვილი ვერ შეეკამათებოდა, ვერც დასცინებდა. გოგო კინალამ დაეთანხმა.

– პროზაულია, – ეშხში შევიდა ალფონსი.

გოგო უკვე აღტაცებით უყურებდა.

– არაფერიც! – სიბრაზისგან შევკვივლე, – ძალიანაც შესანიშნავია, ხოშიანი.

– და მხატვრებიდან რომელი გიყვარს? – დამცინავად გადმომხედა ალფონსმა. მხატვრებიდან მარტო მაიაკოვსკი მახსოვს, პლაკატებს ხატავდა, სკოლაში რუსულის გაკვეთილზე გვასწავლეს. მაგრამ პროკოფიევის მერე, მის მხატვრობაში მთლად დარწმუნებული აღარ ვიყავი. – მე არ მიყვარს მხატვრობა, – განვაცხადე, – მე მიყვარს მწერლობა. ნაგიკითხავთ „წითელი და შავი?“ – აქ გამახსენდა, რომ ის „წითელი და შავი“ ალფონსს ჰქონდა მოყოლილი. ენაზე ვიკბინე.

წაკითხული ჰქონდათ. ამიტომ დავდუმდი. გოგო მალე მთლად გაუგებრობების რომვას მოჰყვა. გენეტიკაო, ამბობდა, საშინელებაა, კაცობრიობას დალუპვის პირას

მიიყვანსო. ალფონსი ღრმად დაფიქრებული შესცქეროდა. ვხვდებოდი – გენეტიკა, ჩემი არ იყო, მისთვისაც გამოცანა იყო, მაგრამ ისეთი თვალეები ჰქონდა, თითქოს მთელი სიცოცხლე იმ რალაც გენეტიკას აკლავდა თავს.

– დალუპავს, დალუპავს, – იმეორებდა გოგო.

– აუცილებლად, – თავს უქნევდა ალფონსი, – კიბერნეტიკაც. აჰ, ტერმინატორი...

მე ვლუმდი და ვსვამდი. ალფონსი ამოდ მირტყამდა ფეხს, ხმა ამოიღეო. ობლები-სადმი ყოველგვარი ინტერესი დაეკარგე. მართალია, რაც მეტს ვსვამდი, გოგო უფრო და უფრო მომწონდა, მაგრამ აღარ მახსოვს... მგონი, ძროხების სანახავად დავპატიჟე, სუკებს გამოგატან, აკეთე ბიფშტექსი და ჭამე-მეთქი. ალფონსი გაშმაგებით მირტყამდა ფეხს. ბოლოს ადგა და წავიდა. ერთი პირობა გამიხარდა, მაგრამ გოგოც დამემშვიდობა, გამოეკიდა ალფონსს. დავრჩი მარტო. ჩემი საყვარელი სიმღერა შევუკვეთე, სიყვარულზე: „შენი ეშხით დავთვრები და წყალში გადავვარდები...“ კარგი სიმღერაა. შამპანური დავისხი. ის იყო, უნდა დამეღია, თუ შეიძლება, მომიკიდეთო, ავიხედე, მაღალი, ისეთი ლამაზი ქალი იყო, კინაღამ შამპანური დამეცქა. მოკლე, შავი კაბა ეცვა, შავი წინდები, ფეხები შოლტივით, ქერა თმა, საშინლად წითელი, მაგრამ მოიისფრო პომადა... მკერდი? რის ბალერინა, რა ბალერინა – მადონა ლიტა! ინებეთ-მეთქი, სანთებელა გავაჩნაკუნე. ღმერთო, რა საინტერესო ხელი გაქვთ, გინდათ, გიმკითხათო. თუთიყუში კაკო გამახსენდა. ბოდიში, კამათლით ხომ არ მკითხაობთ-მეთქი. კამათლით მკითხაობა არც კი გაეგო. რა აღარ მითხრა, სიცოცხლის ხაზი სიყვარულისას კვეთსო, სამსახურის ხაზი ხომ საერთოდ... ქალების ღმერთი ხარო, ფულიც გაქვსო (აქ შემომამტერდა, ეს მერე გამახსენდა), არ ვუჩივი-მეთქი. ბოლოს მოულოდნელად მკითხა, არ მოგწონვარო, ასეთი ლამაზი, თან ასეთი უბრალო! – ძალიან მომწონხარ, – ვუთხარი და მოვეფერე (ეჰ, ის ოხერი შავი წინდები...). რა პროკოფიევი და გენეტიკა?! არც ერთი გაეგო და არც მეორე. აი, ქალი! ყველაფერი გამოვკითხე. აღმოჩნდა, პატარა, ქალური ბედნიერება უნდოდა – ბავშვები, ოჯახი. ნასვამ ქმარს როგორ ვეჩხუბებო, პირიქით, მოვეფერები, წინდებს გავხდი, დავაძინებო, ბავშვებს აუცილებლად მუსიკაზე ვატარებო, და ასე შემდეგ. თქვენ თუ უკრავთ-მეთქი. დაიმორცხვა, ცუდად ვუკრავო. ამაზე მეტი რალა მინდოდა? ოჯახური მდგომარეობა გზაში გამოვკითხე, მართალია, ენა მებმოდა, მაგრამ გარკვევით ვეკითხებოდი. მამა ბანკის პრეზიდენტი, დედა, აი, ის როა... შოუ ბიზნესი როა... ქალები რო დადიან... ბებია – დამსახურებული არტისტი, ბაბუა ლოტბარი ყოფილა, ბერლინთან დალუპულა სანყალი... რაში მჭირდებოდა?! დედ-მამა შინ არ დამიხვდნენ, აგარაკზე ყოფილან ნასულები. და სახელი რომ ვკითხე, იცით, რა მითხრა? ლუიზა მქვიაო. ესეც შენი კაკო! ალტაცებაში მოვედი. დღეიდან აქაურობის დისასხლისი ხარ-მეთქი, დავატარე, ყველაფერი ვაჩვენე. მერე გავხადე, იმანაც და... დამეძინა. თუთიყუში კაკო დამესიზმრა. გენერლის ოქროსფერი სამხრეები ეკეთა და წმინდა ანდრიას ორდენი. იჯდა, კამათელს აგორებდა. საიდანლაც ისმოდა მუსიკა.

– გესმით? – მეუბნებოდა კაკო, – პროკოფიევია.

– მე ბეთხოვენი მირჩევნია. ბეთხოვენს გრძელი თმები ჰქონდა.

– ბეთხოვენი კარგია, – მხრები აიჩეჩა კაკომ, – მაგრამ პროკოფიევი მაინც პროკოფიევია.